



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამულისრეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა ღ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 16/12

2023 წლის 30 მარტი

ქ. თბილისი

„ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესების“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ კომისიის 2022 წლის 14 ივლისის №29/6 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში – კომისია) 2023 წლის 23 თებერვალს საჯარო სხდომაზე განიხილა საკითხი „ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესების“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ კომისიის 2022 წლის 14 ივლისის №29/6 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ამავე გადაწყვეტილებით აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვრა 2022 წლის 31 აგვისტო, ხოლო დაინტერესებული პირების მიერ მოსაზრებების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 2022 წლის 18 აგვისტო.

„ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესების“ მიღება მნიშვნელოვანი იყო საბითუმო ორგანიზებული ბაზრის ამოქმედებისთვის. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილების - ორგანიზებული ბაზრის ამოქმედების ვადის გადადებიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტის საფუძვლიანი დამუშავების მიზნით უნდა გაგრძელდეს „ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესების“ მიღებისთვის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, საქართველო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე, 106¹, 106² და 106⁵ მუხლების თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვეტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება კომისიის 2022 წლის 14 ივლისის №29/6 გადაწყვეტილებაში „ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესების“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ და მისი მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. „ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის წესების“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების გამომცემის ბოლო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2023 წლის 30 ივნისი.“
2. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
3. გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების თაობაზე ცალკე არ საჩივრდება.
4. გადაწყვეტილების შესურლებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის აპარატის ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტს.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

